




ხაშურის მთაშვე



№31 (16)

6 აგვისტო, ორშაბათი, 2018 წელი



საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები 28 ოქტომბერს გაიმართება

საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პრესკონფერენციაზე გამოაცხადა.

“მიღებულია გადაწყვეტილება, რომ მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნოს 2018 წლის 28 ოქტომბერს. ეს გადაწყვეტილება მიღებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით. ამიტომ, დღეს შესაბამისი დადგენილება გადაეცხადება პრემიერ-მინისტრს და შემდეგ წარმართება შესაბამისი პროცედურები” - განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

კანონის თანახმად, პარტიებს უფლება აქვთ, საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო.

მუნიციპალიტეტის მერი ქვიშხეთში, მჭედლიშვილების უბნის მოსახლეობას შეხვდა

27 ივლისს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი ქვიშხეთში, მჭედლიშვილების უბნის მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - ქვიშხეთის მაჟორიტარი დეპუტატი არჩილ ჩანანიძე და მერიის წარმომადგენლები.

მჭედლიშვილების უბნის მოსახლეობამ მერს სოფლის და უბნის პრობლემები გააცნო. მათ მადლობა გადაიხადეს სოფელ ქვიშხეთში მისასვლელი გზის რეაბილიტაციისთვის და უბანში მინისტრადიონის რეაბილიტაციის მოთხოვნა წამოაყენეს. ამასთანავე, სოფლის მოსახლეობამ მერს და დეპუტატს გარე განათების დაზიანებული ნათურების შეცვლაში, ნარჩენების გატანის სიხშირის გაზრდასა და სასაფლაო-მდე მისასვლელი გზის მოწესრიგებაში დახმარება სთხოვა.

ქვიშხეთის მჭედლიშვილების უბნის მოსახლეობის მოთხოვნების გადაწყვეტა მუნიციპალიტეტის მერმა უკვე დაავალა შესაბამის სამსახურებს, რის შედეგადაც გარე განათების, ნარჩენების გატანის და სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოწესრიგების საკითხები უახლოეს დღეებში გადაწყდება. რაც შეეხება სტადიონს, გიორგი გურასპაშვილმა აღუთქვა შეხვედრაზე დამსწრე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს, რომ ისინი, უახლოეს ხანებში ახალ, თანამედროვე სტადიონის სტადიონს მიიღებენ. ბავშვებმა, თავის მხრივ, პირობა დადეს, რომ სტადიონის მოვლა-დასუფთავებაზე თავადაც იზრუნებენ.



იმსჯელეს წყალმომარაგების პროექტის წინასწარი გარემოსდაცვითი აკრედიტაციის შედეგებზე

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, ხაშურის, ზემო და ქვემო ოსიაურისა და ცხრაბუხის წყალმომარაგების, საკანალიზაციო ქსელისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პროექტის წინასწარი გარემოსდაცვითი აკრედიტაციის შედეგების შეფასების საკითხებზე განხილვა მოეწყო.



განხილვა მოეწყო.

განხილვას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის გარემოს დაცვის, განსახლების და ნებართვების დეპარტამენტის უფროსი მაკა გოდერძიშვილი,

პროექტის მომამზადებელი კომპანია „Caspian Business Management and Consulting“ LLC-ს წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, მერის წარმომადგენლები, მერიის თანამშრომლები, დაინტერესებული პირები.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ პროექტი მიზნად ისახავს წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების გაუმჯობესებას ქალაქ ხაშურში და სოფლებში: ზემო და ქვემო ოსიაურსა და ცხრაბუხაში და შედეგად სამი კომპონენტისგან: წყალმომარაგების სისტემა, წყალარინების სისტემა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა. პროექტის დონორია საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD).

შეხვედრაზე იმსჯელეს ხაშურში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის არსებულ მდგომარეობაზე და განიხილეს სამომავლოდ პროექტით დასახული პერსპექტივები. მათ ისაუბრეს პროექტის დადებითი სოციალური ზემოქმედების შესახებაც, რაც, გარდა იმისა, რომ მოსახლეობისთვის ხარისხიანი და საკმარისი რაოდენობის სასმელი წყლის მიწოდებას და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობას იძლევა, ასევე ითვალისწინებს დამატებით სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელსაც, რაც მოკლევადიანი სამუშაო ადგილების შექმნაში გამოიხატება.

გაიმართა დისკუსია. მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა დისკუსიისას აღნიშნა, რომ მერიის მხრიდან პროექტს მაქსიმალური მხარდაჭერა ექნება.

ხაშურის, ზემო და ქვემო ოსიაურის და ცხრაბუხის წყალმომარაგების, საკანალიზაციო ქსელისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პროექტის დასაწყისი 2019 წლისთვის არის განსაზღვრული.

კონსერვაციული სოფლის მეურნეობა - დარგის განვითარების საუკეთესო მიმართულება

კონსერვაციული სოფლის მეურნეობა არის რესურსდამზოგავი სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომლის მიზანია გარემოს დაცვის უზრუნველყოფით მაღალი ეკონომიკური შედეგის მიღწევა. კონსერვაციული სოფლის მეურნეობა ემყარება ნიადაგში და მის ზედაპირზე, ნიადაგის მექანიკური დამუშავების მაქსიმალურად შეზღუდვის საფუძველზე, ბუნებრივი ბიოლოგიური პროცესების გაძლიერებას. გარდა ამისა, მცენარეთა დაცვის საშუალებების და მინერალური ან ორგანული წარმოშობის საკვები ნივთიერებების გამოყენება

ხდება ოპტიმალურ დონეზე, რათა მათ ხელი არ შეუშალოს და არ დაარღვიონ ბიოლოგიური პროცესები.

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ ინიციატივით მუნიციპალიტეტის ფერმერთა და სოფლის მეურნეობის დარგით დაინტერესებულ მოქალაქეთა ჯგუფი 1 აგვისტოს, გორის რაიონის სოფელ კარალეთს ეწვია; ფერმერ ზაზა ხარიბუგაშვილის მეურნეობაში ისინი გაეცნენ ბიომეურნეობის მოწყობის პრინციპებს, ბიოჰუმუსისა და ბიოკომპოსტის დამზადების წესს.

პროგრამა ხორციელდება „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტის“ (AMMAR) ფარგლებში, პროგრამა ფინანსდება „სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის“ (IFAD) და „გლობალური გარემოს დაცვის ფონდის“ (GEF) მიერ. პროგრამა ინიცირებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და მას ა(ა) იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ ახორციელებს.

„სად წაიყვან სადაურსაო“, ნათქვამია და დღევანდელ ნომერში ხაშურელი გიტარისტის ზურაბ შატბერაშვილის ცხოვრების, ბევრისთვის უცნობ დეტალებზე გიამბობთ, რომელიც, აგერ უკვე 25 წელია, დანიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ზურაბ შატბერაშვილი გახლდათ ისეთი ლეგენდარული ანსამბლის წამყვანი გიტარისტი როგორც „ივერია“ იყო. წევრი იყო ისეთი ცნობილი ქართული ჯგუფებისა, რომელთა სიმღერები ქართველ მსმენელში დღემდე ნოსტალგიას და საოცარ სითბოს აღვიძებს. ბატონ ზურაბს მისი ბავშვობის მეგობრის დათო ლოლობერიძის საშუალებით დავეკონტაქტეთ, რომლებიც რედაქციაში ერთად გვესტუმრნენ. წარმატებული გიტარისტის საკმაოდ ბოზოქარი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებზე ინტერვიუდან ვრცლად შეიტყობთ.

ზურაბ შატბერაშვილი: მუსიკა ჩემი ცხოვრებაა

- ბატონო ზურაბ, ვინ გასწავლათ გიტარაზე დაკვრა და გვიამბეთ მუსიკაში თქვენ ბირველ ნაბიჯებზე?



- პეტრე კიკვაძე გახლდათ ჩემი მასწავლებელი. ხაშურში არსებობდა ანსამბლი „სხივი“, რომელსაც სუვერიან ლაზარაშვილი ხელმძღვანელობდა. ამ ჯგუფშივე უკრავდა პეტრე ბასვიტარაზე, მისი ჯარში წასვლის შემდეგ, ეს ადგილი გათვისუფლდა. ჩავაბარე, ესე ვთქვით, გამოცდა და დავიწეე ამ ანსამბლში დაკვრა. თავდაპირველად, ბასისტი ვიყავი, პეტრეს ჯარიდან დაბრუნების შემდეგ კი, მე გიტარაზე დაკვრა განვაგრძე. ეს ჯგუფი, კულტურის

სახლის ბაზაზე იყო შექმნილი და დავდიოდით ხაშურსა და მის სოფლებში, გეჰონდა კონცერტები და აქტიურად ვიყავით ჩართული ქალაქის მუსიკალური კუთხით განვითარებაში.

- როგორც ვიცით სწავლა გორში განაგრძეთ?

- სკოლის დამთავრების შემდეგ, მამაჩემს უნდოდა არქიტექტურულზე ჩამებარებინა, ეს თავადაც მსურდა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მუსიკა უფრო მიზიდავდა. განსაკუთრებით, როკ-მუსიკა, რომელიც იმ პერიოდში აკრძალული იყო და მხოლოდ მიწიშქვეშ ახერხებდა არსებობას. ერთ დღეს, გორიდან ანსამბლი „გორის დილა“ ჩამოვიდა, რომელსაც გიტარისტი სჭირდებოდათ. შემომთავაზეს მათ ანსამბლში დაკვრა, დიდ სიამოვნებით დავთანხმდებოდი, მაგრამ, პირველ რიგში, მამაჩემის თანხმობა მჭირდებოდა. მათვე შემომთავაზეს, რომ გორში არსებობდა მუსიკალური ტექნიკუმი, სადაც შემეძლო ჩამებარებინა და, კარგად სწავლის შემთხვევაში, ჩავირიცხებოდი სახელმწიფო კონსერვატორიაში. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, გუამბე მამას და საბოლოოდ დამთანხმდა. ჩავაბარე გორის მუსიკალურ ტექნიკუმში, უნდა შემესწავლა კონტრაბასსზე, რადგან



ანრი და ალექსანდრე ბასილიაიბთან ერთად.

ჩემს ასაკში სხვა ინსტრუმენტზე დაკვრა ხელმისაწვდომი არ იყო, არც გიტარის კლასი არსებობდა. ტექნიკუმში კარგად ვსწავლობდი და პარალელურად „გორის დილაშიც“ ვუკრავდი. ტექნიკუმში 1980 წელს დავამთავრე.

- ამავე წელს ჩავაბარე სახელმწიფო კონსერვატორიაში, კვლავ კონტრაბასზე. ვმუშაობდი, პარალელურად, ცირკში, რადგან, როგორც სტუდენტს, დამატებითი შემოსავალი მქონდა. საცირკო წარმოდგენებს გიტარით ვუკეთებდი აკომპანიმენტს.

- როგორი იყო კონსერვატორიაში სწავლების წლები?

- უამრავი მეგობარი შევიძინე კონსერვატორიაში, ერთ-ერთი გახლდათ მერაბ მამულაშვილი, ისიც კონსერვატორიაში სწავლობდა და კონტრაბასზე უკრავდა. მისგან გავიცანი რომა რცხილაძე. მოგვიანებით, მერაბმა მითხრა, რომ რომა ჯგუფის შექმნას აპირებდა და საჭიროებდა გიტარისტსაც. ეს ჯგუფი, მოგეხსენებათ, იყო „ნატურის ხე“. ამის შემდეგ, შეგხვდით რომა რცხილაძეს, დავუკარი და ჯგუფში ამიყვანეს. თავდაპირველად, ჯგუფში ვიყავით მე, რომა და მისი ძმა – თემური. მოგვიანებით კი შემოვეერთდნენ ანრი ბასილიაი, ალექო კვაშალი. შემდგომში, დღევანდელი „ივერია“ ხელმძღვანელობამ დავკითხო სარეპეტიციო ოთახი, სადაც აქტიურად ვმეცადინებოდა. მოვამზადეთ რამდენიმე სიმღერა და ჩავწერეთ სტუდიური ვერსიები. გამოვიდიოდა ტელევიზიითაც, რა თქმა უნდა, ამაში დიდი წვლილი „ივერიას“ მიუძღვის, რომელთაც დაჟვავდით კონცერტებზე, მათი პროგრამის შემდეგ, ჩვენც ვერთვებოდით ჩვენი რეპერ-

ტუარით. ესე გრძელდებოდა დაახლოებით ერთი წელი. შემდეგ, „ჩხიკვა ქორწილში“ მივიღეთ მონაწილეობა, საახალწლო დადგმებში. ეს ყველაფერი გაგრძელდა ფილმით „არგონავტები“, რომლის გადასაღებადც მოსკოვში გავემგზავრეთ, ამას მოჰყვა, აგრეთვე, ფილმი „ჩხიკვა ქორწილი“. ამ დროისათვის, უკვე „ივერიასთან“ შევერთდით და მათი გიტარისტი ვიყავი. მათთან ერთად, მრავალ ქვეყანაში ვიმოგზავრეთ: იტალიაში, ესპანეთში, ბარსელონაში საგამოფენო პავილიონი იყო და საქართველოს წარმომადგენლით, გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, მოსკოვში თავისთავად.

- როგორ უთავსებდით სწავლასა და სამსახურს ერთად, როგორც ვიცით, ამ დროისათვის კონსერვატორიაში სწავლობდით..

- დიახ, ვსწავლობდი კონსერვატორიაში, მაგრამ ძალიან ბევრი გაცდენები მქონდა, 60 გაცდენაზე გარიცხვა იყო უკვე და მე გადავაჭარბე გაცდენებს. თვეობით მივიდიოდი გასტროლებზე. ერთ დღესაც, დეკანი მოვიდა ჩემი გაცდენებით შეწუხებული და მითხრა,



დანის მუსიკალური სკოლის მოსწავლეებთან ერთად.

რომ გარიცხვის კანდიდატი ვიყავი. მეც, ანსამბლში ვთქვი ჩემი გასაჭირის შესახებ და როგორც ხდებოდა ხოლმე, „ნაცნობობით“ დავაღწიე თავი კონსერვატორიიდან გარიცხვას. საბოლოოდ წარმატებით დავამთავრე კონსერვატორია.

- პარალელურად თუ ახერხებდით საყვარელი მუსიკისთვის დროის დათმობას?

- რა თქმა უნდა, მე მაინც დასავლური კულტურის და მუსიკის სიყვარულით აღვზარდე საკუთარი თავი. გაგაკეთე ჩემი ჯგუფი – ამერიკული ქანთრის მუსიკას ვუკრავდით. იმ დროისათვის, ასე ვთქვათ, ფარდა გაიხსნა დასავლეთსა და საბჭოთა კავშირს შორის და ტურისტები ჩამოდიოდნენ საზღვარგარეთიდან. ჩვენ, ჩვენი გამორჩეული მუსიკის გამო წარვდგებოდით ხოლმე მათ წინაშე, ისინიც, თავის მხრივ, აღფრთოვანებული რჩებოდნენ და უკვირდით, საიდან შეიძლებოდა დაგვეკრა ასეთი გემოვნებიანი მუსიკა.

- გვიამბეთ თქვენ აქტივებზე ლეგენდარული „ივერია“ დატოვების შემდეგ.

- „ივერის“ შემდეგ, ერთი წელი, ანსამბლ „თეატრონი“ ვუკრავდი. 1989 წელს, ავად-სახსენებელი 9 აპრილის შემდეგ, ეს ანსამბლი დაიშალა და, დროებით, შემოსავლის გარეშე დავრჩი. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ვუკრავდი თამარ გვერდულითთან. კონცერტები, ძირითადად, გეჰონდა მოსკოვში, უკრაინაში და სხვა საბჭოთა ქვეყნებში, ბოლო კონცერტი, მახსოვს, გეჰონდა საქართველოში, სოხუმში 1992 წელს, და შემდეგ დაგვარგეთ კიდეც.

- და ბოლოს, თქვენი დანიაში გამგზავრების და იქაური ცხოვრების შესახებ უამბეთ ჩვენ მკითხველს..

- დამიკავშირდა უნა კორძია, რომელიც იმჟამად დანიაში იმყოფებოდა, ქმინდა ჯგუფს და საშუალებაც იყო კონცერტების გამართვის. ჯგუფში ვიყავით: მე, უნა კორძია, გია მაჭარაშვილი, გია ძაგნიძე და სხვები. გავემგზავრეთ ორი ჟღერით დანიაში, 8 დღე ვიარეთ. ორი თვე აქტიურად ვუკრავდი კონცერტებზე. გარკვეული დროით საქართველოში დაბრუნება მომიწია, უკან დაბრუნებულს კი გიტარისტის ადგილი, სამწუხაროდ, დაკავებული დამხვდა. თუმცა, დანიაში დარჩენა მაინც გადავწყვიტე. კი დავდიოდი კონცერტებზე ჯგუფთან ერთად, მაგრამ შემოსავალი სათანადო არ იყო და ეს ჯგუფი საბოლოოდ, დავტოვე. მეორეს მხრივ, ძალიან ვიწვალე თავად ქვეყანაში დარჩენაზე, მთელი სამი წელი, ასე ვთქვათ, დარჩენა-არდარჩენის ზღვარზე ვიყავი. საბოლოოდ, ჩემს სასიკეთოდ გადაწყდა საქმე და დავრჩი დანიაში. ვმუშაობდი, სხვადასხვა სამუშაოებზე, არა მუსიკის განხრით, თუმცა, მიწოდდა ჩემი საყვარელი საქმე მეკეთებინა. ბოლოს, გამგზავნეს დანიაში ერთ-ერთ სკოლაში, რათა შემესწავლა აქაური სწავლების მეთოდიკა. ამ სკოლაში ერთი წელი დავავაგი. შემდგომ, ჩემმა მეგობარმა, რომელიც ვიოლინოს ასწავლიდა, პროფკავშირების ქურნალში ნახა განცხადება, სადაც ერთ-ერთ მუსიკალურ სკოლაში სჭირდებოდათ გიტარის მასწავლებელი. მე, რა თქმა უნდა, გავაგზავნე განცხადება, მიმიღეს და სრული განაკვეთით მომცეს. ვასწავლიდი გიტარსაც და კონტრაბასსაც. პარალელურად, ვუკრავდი სხვადასხვა კონცერტებზე და ფესტივალებზე, ბარებში. დამიკრავს დანის დედოფლისთვის და პრინციხისთვის გამართულ კონცერტზეც. 25 წელია დანიაში ვარ, ისევ მუსიკალურ სკოლაში ვასწავლი, აქ დავმკვიდრდი, მაქვს სტაბილური სამსახური და ცხოვრება. ზაფხულობით, ყოველთვის, ჩამოვდივარ ხაშურში აქ ორი დამ მყავს და უამრავი მეგობარი, რომლებთანაც დროის გატარებას ძალიან მონატრებული ვარ და ეს პროცესი ერთი სიამოვნებაა ჩემთვის.

- ოჯახისთვის შექმნისთვის თუ დაგრჩათ დრო, ასეთი გადატვირთული მუსიკალური ცხოვრების გამო?

- სამწუხაროდ, ოჯახი ვერ შევქმენი, მისი მაგივრობა მუსიკამ გამიწია და ვფიქრობ, მუსიკა ჩემი ცხოვრების მთავარი სიყვარულიც. მუსიკა ჩემი ცხოვრების სტილია, ის ჩემი სამსახურიცაა, და ამავდროულად, პოზიცია.

ჩვენ ასევე გავცვანით დანის მუსიკალური სკოლის „იკასტის“ კურსდამთავრებულების სამადლობელ სიტყვას, სკოლის 25 წლის იუბილეზე, სადაც უდიდეს მადლიერებას გამოხატავენ ბატონი ზურაბის მიმართ: „განსაკუთრებული მადლობა ზურაბ შატბერაშვილს. 10 წელია ვართ პროფესიონალურ სცენაზე და დამწვინებული გონებით ვვინდა გითხრათ, რომ ზურაბი არა მარტო საუკეთესო პიროვნებაა, არამედ, ჩვენი აზრით, ერთერთი საუკეთესო გიტარისტიცაა დანიაში. ჩვენ მადლობელი ვართ, რომ მივიღეთ გიტარის გაკვეთილები ასეთი კომპეტენტური მასწავლებლისგან და მენტორისაგან“.

ესეების კონკურსის გამარჯვებულთა შორის სამი ხაშურელია

23 ივლისს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ესეების კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. კონკურსი „საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა“ და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ორგანიზებით ჩატარდა.

ესეების კონკურსი „დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი“ რეგიონულ ბიბლიოთეკებში 26 ივნისიდან 10 ივლისის ჩათვლით გაიმართა. იგი საქართველოს პრეზიდენტის ახალი კამპანიის „დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი“ ფარგლებში ჩატარდა.

კონკურსის მიზანი იყო ბიბლიოთეკებსა და მათ მკითხველებს მთელი საქართველოს მასშტაბით, მისცემოდათ საშუალება წარმოეჩინათ საკუთარი ხედვა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე. კონკურსის 20 მონაწილის ესე სპეციალურად ამ დღისადმი მიძღვნილ კრებულში დაიბეჭდა. კომპეტენტურმა ჟიურიმ 20 საუკეთესო ესე გამოავლინა, საპრიზო ადგილები ხაშურის ბიბლიოთეკას ერგო. სამი საუკეთესო ესე ავტორები გახდნენ თინათინ კაპანაძე, ხათუნა ჩიტაძე და ანა ტაბატაძე. გამარჯვებული მონაწილეები ფულადი ჯილდოთი დაჯილდოვდნენ, ხოლო გამარჯვებული ბიბლიოთეკები კომპიუტერული ტექნიკით აღიჭურვნენ.

სადღაც, შორს, ჰორიზონტზე, გაცის-ეროვნებუდი საქართველო მოჩანს

შეიძლება იყო დამოუკიდებელი და არ იყო თავისუფალი? შეიძლება იყო თავისუფალი და არ იყო დამოუკიდებელი?

ღიახ, შეიძლება იყო დამოუკიდებელი და არ იყო თავისუფალი, რადგან დამოუკიდებლობა ფაქტობრივი მდგომარეობაა, სხვებისგან აღიარებას რომ საჭიროებს.

დოკუმენტები, აქტები, ხელმოწერები... ზუსტად 100 წლის წინ დაიბადა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო, პატარა, უსუსური, ჩვილი ბავშვივით ხელით საგოგმანები, სულს საბერი... ჯერ ფეხაუღებელი ხახალაფენილი მეზობლის პირისპირ.

დამოუკიდებლობა სხვის იმედად, სხვის თვალში შემყურედ, სხვისი წაშველების მოლოდინში. არადა, სხვა ხომ არც თვალში ჩაგხედავს, არც ხელს წაგაშველებს და როცა დაგჭირდება, სწორედ მაშინ მიგატოვებს.

ზუსტად ასე დაგვემათა, ისარგებლა კეთილმოსურნე მეზობელმა და გადაგველაპაპა...

შინაურებმაც გვარიანად შეუწვეს ხელი. დავკარგეთ ნანატრი დამოუკიდებლობა.

ჩაგვაბეს სხვების ფერხულში...

დაიწყო ავბედითი ოცდანიშნული, როცა ისევ შინაურების დამსახურებით გაგვიკლიტეს ერის საუკეთესო ნაწილი. შიში გამეფდა ქვეყანაში - ერთმანეთის შიში.

იყო ყველაზე სასტიკი ომი კაცობრიობის ისტორიაში.

და იყო ფაშისმზე მოპოვებული გამარჯვება-სხვებთან ერთად, ათასობით ქართველი საჯიშე ბიჭის შეწყვეტილი სიცოცხლის ფასად.

შემდეგ თითქოს სიმშვიდეც იყო. ცხოვრებაც გრძელდებოდა უდიადესი და უძლიერესი საბჭოეთის ძმურ ოჯახში.

მაგრამ არ შეწყვეტილა თავისუფლებისმოყვარე ქართველების ფარული თუ ცხადი ბრძოლა სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

და იმ დროს, როცა ხმის ამოდება კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ თითქმის სიცოცხლის ფასი ღირდა, როცა ხალხის ხმა ყოველთვის რჩებოდა „ხმაღ მღაღაღებისა უდაბნოსა შინა“, ქართველებმა შეძლეს ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოეცხადებინათ, რადგან ქართველისთვის მშობლიური ენა ეროვნული თვითმყოფადობის გამოვლენაა და ერისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

დამოუკიდებლობის აღდგენა, ფაქტობრივად, 9 აპრილს დაიწყო, როცა „რუსთაველი“ რუსული ტანკებით აავსეს, ნიშნებით დაჩეხეს მოხუცები და ქალები, გახით მოწამლეს ასობით ახალგაზრდა.

აგორდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ტალღა. ისევ მოვიპოვეთ ნანატრი თავისუფლება...

და დაიწყო...

სავალი გზა ყოფიერებით დამძიმებული დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ.

ამ გზაზე ძმათაძველი ომიც შემხვდა, სისხლით მორწყული თბილისი, დან-

გრეული და გაპარტახებული.

შემხვდა ჩვენი უღამაზესი აფხაზეთი უჩვენოდ. იქიდან წამოსული ადამიანების სიკვდილის პირისპირ შეხვედრის შიშით გაფართოებული თვალები, სამშობლოს წართმევი გამოწვეული ტკივილი და მაინც სადღაც უსასრულოდ შორს მოკიფე იმედის ნაპერწკალი.

შემხვდა პოლიციელებისგან ქუჩაში ჩახოცილი ბიჭები, გადავსებული ციხეები და აღზევებული უსამართლობა.

შემხვდა აგვისტოს ხუთი ცხელი დღით დაშანთული ადამიანებით დასახლებული სპეციალური დასახლებები.

შემხვდა დაჩეხილი და დანაწევრებული საქართველო, წართმეული ტერიტორიები და მოძრავი მათუღსკარებები...

შემხვდა ნავის ურნებიდან მოფუსფუსე მათხოვრები, მშიერ-მწყურვალი ბავშვები და მოხუცები.

შემხვდა ათასობით სამშობლოს მოწყვეტილი ადამიანის გამოუთქმელი სევდით სავსე თვალები, გადახვეწილი მხოლოდ იმიტომ, რომ სახლში დარჩენილებს ლუკმა-პური მოაწოდოს.

და მაინც...

100 წელი გავიდა...

ნეტავ დიდი ხანი მოგვიწევს ლოდინი და ბრძოლა?

ნეტავ საჭიროა თუ არა ეს ყველაფერი თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე?

ნუთუ ამის გარეშე ვერ მოიპოვება თავისუფლება?

თავისუფლება ხარკს არ იხდის...

ხარკს თავისუფლებისთვის იხდიან...

თავისუფლება ხომ სულის მდგომარეობაა, უსასრულობაა დროსა და სივრცეში. შენს თავისუფლებას ვერაფერს აღიარებს, შენ უნდა იგრძნო.

დამოუკიდებლობა მიწაზე მყარად დგომაა, მტკიცე ნაბიჯებით სიარული და თავისუფლებისათვის მზადება.

თავისუფლება ფრენაა...

ფრენას ფრთები ჭირდება...

ფრთები განათლებაა...

„ფრთები, ფრთები გვინდა!“..

დღეს ყველაზე ძლიერი იარაღი განათლებაა.

არ არსებობს თავისუფალი ადამიანი განათლების გარეშე.

არ არსებობს თავისუფალი ქვეყანა თავისუფალი ადამიანების გარეშე.

თავისუფლება მომავლისაა...

სადღაც შორს, პორიზონტზე გაცისკროვნებული საქართველო მოჩანს...

ხათუნა ჩიტაძე,

ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება



ნებისმიერი ერის წინსვლა და პროგრესი, სახელმწიფოებრიობის გარეშე წარმოდგენილია

„ნამდვილი დამოუკიდებლობის გზა, ჩემი აზრით, ეროვნული ხასიათის რესტავრაციით, მრავალი თვალსაზრისით უკვე დაკარგული ეროვნული სიამაყის, ეროვნული ღირსების აღდგენით უნდა დაიწყო“ (ზვიად გამსახურდია). ეს სიტყვები, ყველაზე კარგად გამოხატავს იმ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებოდა საქართველო 1918 წლის 26 მაისამდე.

ფაქტების უკეთ აღსაქმელად განვიხილოთ საქართველო რუსეთის ურთიერთდამოკიდებულება და მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, ფაქტები რომლებმაც შანსი მოგვცეს დამოუკიდებლობის მოპოვებისა.

1783 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო ე.წ. „გეორგიევსკის ტრაქტატი“. ტრაქტატის შესავალში აღნიშნული იყო, რომ იმპერატორმა დიდსულოვნად ინება ქართველების გათავისუფლება „უღლისაგან მონებისა“ და იმ დამამცირებელი ვალდებულებებისაგან, „რომლი-

საცა რომელნიმე ერნი ამათვანნი მიცემად შეკრულ იყუნეს ტყუელ მიხდისა ვაჟთა და ქალთასა“. ტრაქტატი აცხადებდა, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე თეიმურაზის ძემ, თხოვნით მიმართა რუსეთის იმპერატორს მისი სამე-



ფოსა და სამფლობელოების უზენაესი მფარველობის ქვეშ მიღების შესახებ „უზენაეს ხელმწიფედ აღსარებითა ყოველისა რუსეთის იმპერატორთა მეფეთა ზედა ქართლისა და კახეთისა“, იმპერატორმა „ინება აღდგინება და დამტკიცება იმეგობრობითისა პირობისა“. შესავალშივე დასახელებულია ორივე მხრიდან წარმომადგენლები, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ რწმუნებით ამ ხელშეკრულების გასაფორმებლად. გარდა ამისა, რუსეთი იძლეოდა პირობას, რომ საქართველოს დაეხმარებოდა თავისი ტერიტორიების დაბრუნებაში, თუმცა, მფარველობისა და დახმარების მაგივრად, 1801 წლის 12 სექტემბერს, იმპერატორმა ალექსანდრე I გამოსცა მანიფესტი ქართლ-კახეთის რუსეთის იმპერიაში შეერთების შესახებ. მიუხედავად უკმაყოფილებისა, ქართლ-კახეთის ანექსიას მალევე მოჰყვა იმერეთის, გურიის, აფხაზეთის, სვანეთისა და სამეგრელოს ანექსია.

ამის შემდეგ, დაიწყო აჯანყებების მთელი სერია, თუმცა უშედეგოდ. ვიდრე რუსეთის ძალები შიდადაპირისპირებებში არ ჩაერთო. I მსოფლიო ომის დასკვნით ეტაპზე რუსეთის იმპერია რევრესს განიცდიდა, შიდა ქაოსითა და ანარქიით იყო მოცული, 1917 წლის თებერვალში მომხდარი რევოლუციის დროს გადადგა ნიკოლოზ მეორე. ძალაუფლება ხელში აიღეს დროებითი მთავრობის წარმომადგენლებმა, ამიტომ საქართველოსა და ამიერკავკასიაზე რუსეთმა დაკარგა კონტროლი, რამაც შანსი მისცა რუსეთის პერიფერიებზე პატარა ხალხებს სახელმწიფოების ჩამოყალიბებისა. ფეხს იდგამდა მსოფლიოს დიდი გადანაწილების პროცესი, ის, რაც უნდა მოჰყოლოდა პირველი მსოფლიო ომის დასასრულს.

1917 წლის ნოემბერში, თბილისში, შედგა „ეროვნული ყრილობა“, რომელშიც მონაწილეობდნენ იმდროინდელი ქართული საზოგადოების ყველა პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენლები, მსჯელობა იყო საქართველოს მომავალზე. გავთავისუფლდებით თუ არა რუსეთისგან? ჯერ კიდევ დიდი ილია, ერის სულიერი მამა, დღენიადავ ქადაგებდა: „სანამ ჩვენ არ გავთავისუფლდებით შინაგანი ტყვეობისგან მარადუამს ვიქნებით დიდ სანაგაოზე გამობმული სათრეველა“.

(დასასრული)

სწორედ ამ ეტაპიდან დაიწყო საქართველოში პოლიტიკური თამაში. ამიერკავკასიის სამი ქვეყანა: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი გაერთიანდა, რომელსაც ამიერკავკასიის სეიმი ერქვა (1918 თებერვალი), შემდგომში ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა.

რა ხდებოდა ამ დროს მსოფლიო ასპარეზზე? I მსოფლიო ომი დასკვნით ფაზაში შევიდა. ე.წ ცენტრალური სახელმწიფო (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი) მარცხდებოდა ანტანტის ქვეყნებთან ომში, რომელსაც მსხენლად მოველინა ამერიკის შეერთებული შტატები. რუსეთს, საკუთარ სამოქალაქო ომში ჩაძირულს, არ ეცალა მსოფლიოსთვის.

ვიდრე რუსეთი ახალი სახით მოველინებოდა სამყაროს, თბილისში, საქართველოში უნდა ეზრუნათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღებაზე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა გერმანიის სახელმწიფო, თავისი პოლიტიკური ზრახვებით და ინტერესებით. ქართველი სოციალ-დემოკრატებისთვის ეს გამოდგა ერთდერთი შანსი დარჩენისთვის, საშინელი იყო იმჟამინდელი პოლიტიკური რეალობა, როგორც აკაკი ჩხენკელი ამბობდა -, სხვა გზა არ არის, უნდა გამოვაცხადოთ დამოუკიდებლობა“.

1918 წლის 26 მაისს, გამოცხადდა დამოუკიდებლობა და დასრულდა 117 წლიანი ბატონობა რუსული იმპერიისა.

ქართველებისთვის დაიწყო ახალი ცხოვრება დამოუკიდებელ სახელმწიფოში, რომელშიც ტარდებოდა უამრავი რეფორმა. ქართველ ერს მიეცა შანსი ყოფილიყო დამოუკიდებელი. ნელ-ნელა გაიმართა საქართველო და შემდგომ ევროპის მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა. შეიქმნა ფულადი ერთეული - ლარი. ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე გაიხსნა უნივერსიტეტი, ჩამოყალიბდა პირველი ქართული პარლამენტი - დამფუძნებელი კრება, ქვეყნის მეთაურად მოგვევლინა ნოე ჟორდანიანი (მთავრობის თავმჯდომარე), ქართველობამ მოახერხა და შეადგინა საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუცია, რომელიც ტოლს არ უდებდა ევროპის წამყვან სახელმწიფოთა კონსტიტუციებს. თანდათანობით სოციალ-დემოკრატები ეროვნულ მოტივებს დაუბრუნდნენ. სანამ რუსეთი “მოიცლიდა“ ურჩი საქართველოსთვის, ქართველები სამწლიანი დამოუკიდებლობის სიზმრით ტაბელოდნენ. ბელადი ვლადიმერ ლენინი დასძინდა კიდევ - “საქართველო მეტისმეტად გათავგებულა“. საქართველო კი მსოფლიო პოლიტიკურ ინერციას აყოლილი აგრძელებდა დამოუკიდებლობით ტკბობას.

პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიას, დიდი ხანია ხელი აუღო საქართველოზე. მას უკვე დიდი ბრიტანეთი მფარველობდა, რომელიც დაინტერესებული იყო კავკასიის ნავთობით, “ბაქოს ნავთობით“ და ამიერკავკასიის ხალხების ბედი ნაკლებად ადარდებდა. 1920 წელს კი დიდმა ბრიტანეთმა უარი თქვა კავკასიისა და სახელდობრ, საქართველოს პატრონობაზე.

მემატინე გვამცნობს - “მაშინ, როდესაც უკანასკნელმა ბრიტანულმა გემმა დატოვა ბათუმის პორტი და მისცა სიგნალი, ამ სიგნალის ხმა ყველაზე მკვეთრად მოსკოვში გაიგონეს“. რუსეთში უკვე ხელისუფლებას მკვეთრად ხელჩაჭიდებული ბოლშევიკები დაწინაურდნენ, მათ შორის ჩვენთვის უცხო მომადგენელი იოსებ ჯუღაშვილი, რომლის უდიდესი ძალისხმევითა და სურვილით მოგვიანებით მოხდა „გათავგებულნი“ საქართველოს მორჯულება-გასაბჭოება.

1921 წლის 17 მარტს, ბათუმიდან გეზი აიღო გემმა, რომელსაც მიჰყვებოდნენ საქართველოს ყოფილი მეთაურები და ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც იძულებით ტოვებდნენ სამშობლოს და საქართველოს ეროვნულ

ნებისმიერი ერის წინსვლა და პროგრესი, სახელმწიფოებრიობის გარეშე წარმოუდგენელია

საგანძურთან ერთად, „უცხოეთის ცის ქვეშ“ მიჰქონდათ ქართული მიწა.

1921 წლის თებერვალი, კოჯორთან, ტაბახმელასთან, თბილისის მისადგომებთან მოხდა ახალი უშუალო თავგანწირვა, გმირობა ქართული ეროვნული გვარდიისა, სამასი ქართველი ოფიცერისა და მარცხი.

წავიდა სერგო ორჯონიკიძის გზავნილი მოსკოვში-“თბილისში წითელი დროშა ფრიალებს!“.

ცოტამ თუ გააცნობიერა, რა დაკარგა საქართველომ და ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე მსოფლიო მასშტაბით თუ როგორი უღმობელი ძალები მოვიდნენ ხელისუფლებაში, რომელსაც ახალ ხალხთა საპრობილე, საბჭოთა კავშირი ეწოდა. რეალობა, რომელშიც დანაშაულად აღიქმებოდა ნებისმიერი თავისუფალი ქმედება და აზრი. დაიწყო მანამდე კაცობრიობის ისტორიაში არარსებული პოლიტიკური წნეხი, ხალხის უღმობელი დევნა და შევიწროება.

ამის შემდეგ, 70 ხანგრძლივი წელიწადი დაჭირდა საქართველოს, რომ თავი დაედევნა ბოროტების იმპერიისგან. 70 წლის შემდეგ კი, 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს ისტორიაში გაჩნდა ახალი ქართველი. სწორედ ამ დამეს, როდესაც საბჭოთა ჯარებმა დახოცეს უდანაშაულო მომიტინგეები, ჩვენში საბოლოოდ დასამარდა საბჭოთა ქართველი. ეს იყო სანატრელი დრო ქართველის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა. აქედან დაიწყო გამოფხიზლება.

1891 წლის 9 აპრილს, მაშინდელი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, შემდგომში პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გამოაცხადა ეროვნული დამოუკიდებლობა. საქართველომ აღადგინა დაკარგული სახელმწიფოებრიობა და კიდევ უფრო ნათელი გახდა, რომ ნებისმიერი ხალხის შემდგომი წინსვლა და პროგრესი სახელმწიფოებრიობის გარეშე წარმოუდგენელია.

დღესდღეობით 27-ე წელს მიითვლის ე.წ მეორე რესპუბლიკა საქართველოში, რომელმაც გადაიტანა უმძიმესი -მმათა მკვლელი სამოქალაქო ომი, აფხაზეთის ომი, კონფლიქტი ისტორიულ სამანაბლოში, რუსეთისგან მონათლულ ე.წ სამხრეთ ოსეთში. იმ რუსეთისა, რომელმაც 2008 წლის აგვისტოში განახორციელა პირდაპირი აგრესია საქართველოს ტერიტორიაზე, ცხინვალის რეგიონში, ყოველგვარი პოლიტიკური და ყოფითი რეალობის გვერდის ავლით.

საბედნიეროდ, დღესდღეობით, დანგრეულია მითი რუსეთის ძმობისა და აშკარა ძალას იკრებს ახალი პოლიტიკური აზროვნება.

მახსენდება დიდი ქართველი კლასიკოსი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვები, რომელიც შეესაბამება ქართულ რეალობას- “სამი რამ აკლია ქართველს: ეროვნული შეგნება, რეალობის აღდგო და შრომის უნარი“.

ერთია მოიპოვო დამოუკიდებლობა, გახდევ თავისუფალი და მეორე - შეძლო მისი შენარჩუნება. თუმცა, როდესაც სახელმწიფოებრიობის შეგრძნება მოსახლეობაში მაღალია, სახელმწიფოებრივი თავისთავადობა და ხელშეუხებლობაც პრიორიტეტად რჩება.

მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, ვისურვებდი დაგვეძლიოს „გათითოკაცებული“ ერის სინდრომი, რომ ყველა ჩვენგანისთვის თანაბარმნიშვნელოვანი გახდეს „მე“ და „ჩვენ“, რათა მთელი შეგნებით გავითავისოთ სასიცოცხლო მნიშვნელობა სამშობლოსი -როგორც სახელმწიფოსი.

მიმაჩნია, რომ მხოლოდ სახელმწიფოებრიობა, თავისუფალი ქვეყანა იქნება გარანტი როგორც ერის, ამასთანავე თითოეული ჩვენგანის წარმატებისა და სრულქმნადობის წარმოჩენისა.

გრიგალივით მღელვარე ფიქრებში ხშირად ელავს ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფელ აძვისში, უბრალო გლეხის საფლავის ქვაზე წაკითხული ეპიტაფია: “მონობაში გატანჯულ დაუვიწყარო მამაჲ! შენი ოცნება ასრულდა - საქართველო თავისუფალია“.

თინათინ კაპანაძე

თავისუფლება უპირობო აუცილებლობაა ქვეყნის სიძლიერისა

დამოუკიდებლობა, თავისუფლება, ეს ორი ერთმანეთისგან განუყოფელი, ერთმანეთთან შესისხლხორცებული ცნებებია, რომელიც განაპირობებს ადამიანის პიროვნულობას. პიროვნება შეიძლება ეწოდოს მხოლოდ ისეთ ადამიანს, რომელიც განსაზღვრავს, აანალიზებს, აყალიბებს, ლოგიკურ ჩარჩოში აქცევს და სრულ პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ გადაწყვეტილებებზე. სახელმწიფო, რომელიც შედგება პიროვნებებისგან, შეუძლებელია, არ იყოს დამოუკიდებელი, რადგან ადამიანს, რომელიც თავს პიროვნებად ცნობს, სჭირდება გარემო, სადაც მოახდენს სრულფასოვან ადაპტაციას. პიროვნებას სჭირდება თავისუფალი სივრცე, სახელმწიფო, რომელიც, მას, როგორც საკუთარ სრულფასოვან წევრს, შესთავაზებს სახელმწიფოს თავისუფლებას. თუმცა, სამყაროში სადაც არსებობს დაპირისპირება ერებს შორის, კონკურენცია, სურვილი ერთმანეთის დაჯახისა, შეუძლებელია ბრძოლის გარეშე, მხოლოდ “თავისუფლების სურვილით” მიაღწიო თავისუფლებას.



1917 წლის თებერვალში, ცარიტული რეჟიმის დამხობა ქმნიდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის ხელსაყრელ მომენტს. 1917 წლის 12 მარტს, სვეტიცხოვლის ტაძარში, გამოცხადდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, ეს ფაქტი გახდა ერთ-ერთი წინაპირობა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა.

ისეთი ქვეყნისთვის როგორც საქართველო, იმის გათვალისწინებით, რომ „სამეზობლოში“ მხოლოდ აგრესორები სჭავდა, არ იქნებოდა მარტივი მიღწევა დამოუკიდებლობისთვის. თუმცა, განვითარებულმა მოვლენება, რაც

გულისხმობს ოქტომბრის რევოლუციას, ხელი შეუწყო საქართველოსთვის ახალ ეტაპზე გადასვლას. როდესაც თურქეთი, ზავის თანახმად, ოლქებს ითხოვდა, ამიერკავკასიამ ეს უარყო და დიპლომატიური გზით შეეცადა პრობლემის მოგვარებას. გერმანიასთან თანამშრომლობამ შედეგად ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა მოგვცა. აკაკი ჩხენკელის წერილი, სადაც ის არსებულ მდგომარეობას ამცნობს ქართველ დიპლომატებს, ერთერთი ისტორიული წყაროა ამ მოვლენისა. ეს გახლდათ მცდელობა, საქართველოს დამოუკიდებლობა დაპირისპირებოდა ოსმალთა შემოტევებს და სწორედაც რომ ამ მცდელობამ გაამართლა ნაწილობრივ, რადგან ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებმა უარი თქვეს გერმანიასთან თანამშრომლობაზე. ამის მიუხედავად, საქართველო 1918 წლის 26 მაისის 5 საათსა და 10 წუთზე გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. “ამიერიდან ქართველი ხალხი სუვერენული უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.”

ხშირად საუბრობენ და განიხილავენ იმ ფაქტს, რომ საქართველო არ იყო მზად მიღებული შედეგისთვის, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ საქართველო ოდითგანვე დამოუკიდებელი სახელმწიფოა. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულად ეს 1918 წლამდე არ დამტკიცებულა, ყველა ბრძოლა, ყველა ის მეფე, რომელიც იბრძოდა ტერიტორიული მთლიანობისა და ქართველი ხალხისთვის, ყველა განვითარებისკენ გადადგმული და მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ნაბიჯი განმსაზღვრელი ინდიკატორია იმისა, რომ საქართველომ, დამოუკიდებლობა კი არ მოიპოვა, უკვე არსებულ დამოუკიდებლობას მისცა სახე.

გასაკვირი არაა, რომ რუსეთმა, ჩვენმა “ერთმორწმუნე მეგობარმა“ 1921 წელს, ჩვეულებისამებრ, დაარღვია სამშვიდობო ხელშეკრულება. წითელარმიელების თავდასხმის ობიექტი, არამარტო თბილისი, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობა გახდა. მინდა, აქვე აღვნიშნო საყურადღებო ფაქტი, საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია. საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, რუსეთის მხრიდან ეს პირდაპირ იყო ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების დარღვევა და რა თქმა უნდა, საქართველოსთვის განვითარების გზათა ჩახრშობა.

მიუხედავად განვითარებული მოვლენებისა, თბილისის აღება არ ნიშნავდა საქართველოს რესპუბლიკის დაცემას, საქართველო არც მაშინ დაცემულა, როცა საბჭოური მართველობის კლანჭებქვეშმოქცეული ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისუფლების სიყვარული, სურვილი, ჟინი. “ სამი წელი დემოკრატიული

(დასასრული V გვერდზე)

(დასასრული)

რესპუბლიკის არსებობა უფრო ძლიერი იყო თავისი განცდის ინტენსიურობით, ვიდრე ჩვენი მონობის ასი წელი... (კონსტანტინე გამსახურდია).

ქვეყნის სიძლიერე ერთიანობაზეა დამოკიდებული, ერთიანობა კი სიყვარულზე, ხოლო "სიყვარული თავის გაცემას" განა მონას შეუძლია გასცეს თავი, რომელიც მას არ ეკუთვნის? არა!

თავისუფლება უპირობო აუცილებლობაა ქვეყნის სიძლიერისა

როდესაც ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს სახელმწიფოს ისეთი მოდელი, სადაც დაცულია თითოეული მოქალაქის უფლება, სადაც (განსხვავებით იმდროინდელი ევროპული სახელმწიფოებისა) ქალებს აქვთ არჩევნებში არა მარტო მონაწილეობის, არამედ საკუთარი კანდიდატურის დაყენების უფლება;

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებდა ქვეყნისთვის დემოკრატიული მმართველობის დასაბრუნებლად, ეს იყო ლიდერების დაპატიმრება, ბრძოლა ქართული ენისთვის 1978 წელს, რომელმაც საგრძნობლად განუმტკიცა ქართველთა საკუთარი თავის რწმენა, ბრძოლის სურვილი და უინი. 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია, ამ ტრაგედიის მნიშვნელობა, დარწმუნებული ვარ, თითოეულ ქართველს კარგად ესმის, ამიტომაც მის დეტალურ განხილვას ვერ დავიწყებ, მემძიმება. ამის შემდეგ განხეთქილება ეროვნულ მოძრაობაში და ბოლოს - 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები.

ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად, საბოლოოდ გამოცხადდა და დამტკიცდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენა და არა დაარსება. სწორედ ეს მიმართა 1918 წლის დამოუკიდებლობის ყველაზე დიდ მნიშვნელობად. ჩვენ დამოუკიდებლობა ა დ ვ ა გ ი ნ ე თ!

ჩვენი სახელმწიფოს მთავარი მიზანი დამოუკიდებლობა და სრული თავისუფლების მიღწევაა. თუმცა, დღეს-დღეობით, მავთულ-ხლართები, მოწმობენ, რომ თავისუფლებისთვის ბრძოლა არ შეწყვეტილა, რომ დღესაც, ისევე როგორც 100 წლის წინ, დიდი გამოწვევის წინაშე ვდგავართ. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ სიტყვით, საქმით, დიპლომატიით და განათლებით, თუმცა ეს ბრძოლაა და "მიზანი ამართლებს საშუალებას." თუ საჭირო გახდა, ქვეყნის და თავისუფლების დასაცავად, იარაღიც უნდა ავიღოთ ხელში (იმედია არ გახდება აუცილებელი).

ჩვენ, სწორედ უნდა გავიაზროთ ჩვენი ისტორიის ის მიმე წლები, რაც სახელმწიფოს იმდროინდელმა ხალხმა შესწირა, ამ დროშიც მზად უნდა ვიყოთ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი თავისუფლების, ჩვენი დამოუკიდებლობის დასაცავად და მისთვის ყველაფრის გასაღებად.

გამოწვევათა რიცხვი არა და არ ილევა, ეს სწორედ უნდა შევავსოთ. გამოწვევა, რომლის წინაშეც ვდგავართ, ჩვენი განვითარების განმსაზღვრელია. თუ ჩვენ პრობლემების წინაშე სისუსტეს გამოვიჩინოთ, ეს პრობლემები ჩვენზე ძლიერი აღმოჩნდებიან. მაგრამ თუ წინ აღვუდგებით, თუ შევარჩევთ სწორ ტაქტიკას, მაშინ სახეზე იქნება განვითარებული და მაღალღირებულები სახელმწიფო. პრობლემებს რა მოთვლის, ენაში ბარბაროზების დამკვიდრებიდან დაწყებული, მცოცავ ოკუპაციაზე გაგრძელებული და ხალხში აგრესიის გაჩენაზე დამთავრებული. საიმედოდ, ჩვენ გვაქვს ბრძოლის უნარი, დანარჩენი გამბედაობასა და ერთიანობაზეა დამოკიდებული.

ყველაფერთა თავისუფლებით იწყება. თავისუფლება არის იძულებაზე უარის თქმა და საკუთარი ნების განხორციელების მცდელობა. როცა ჩვენ ვართ თავისუფლები, პასუხისმგებელი ვართ ჩვენს ქვეყანაზე, ხოლო ჩვენი ქვეყანა ჩვენს გარშემომყოფებზე ახდენს გავლენას. შესაბამისად, სახელმწიფო, ერთმანეთზე მოხდენილი თავისუფალი ნების გავლენაა. ეს უნდა იყოს მიმართული სახელმწიფოს განვითარებასა და მის შეცნობაზე. მსურს, საუბარი დავასრულო ჩვენი ამჟამინდელი პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის სიტყვებით: "თავისუფლებისაკენ სწრაფვის მიზნების განხორციელება შეუძლებელია საკუთარი ქვეყნის შემეცნების გარეშე. ფიქრი, ერის შემეცნებაზე ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ჩვენი წინაპრების ღრებულელებით თავისუფალი სახელმწიფოს მშენებლობა"

ანა ტაბატაძე, გალაქტიონ ტაბიძის სახელობის, #6 საჯარო სკოლის მოსწავლე

სახადისო ისტორიები

კაპიტან ვასილ ფიოდოროვის

საბედისწერო შეცდომა

ჩვენს ქალაქში დავით ლოლობერიძეს ყველა იცნობს. ისიც ბევრმა იცის, რომ დათო („პაჟულა“) მრავალი წელი მეზღვაური იყო და ტანკერ „გენერალ ბაგრატიონი“-თ მსოფლიო აქვს მოვლილი და თითოეული ოკეანე _ რამდენჯერმე გადასერილი. „მეზღვაურულ ისტორიებს“ რა დაღვეს და დათოც მრავალ საოცარ ისტორიას იხსენებს. დღეს მის ნაამბობს ერთ-ერთ სახალისო ისტორიას გთავაზობთ.

გასული საუკუნის 70-იანი წლებია. საბჭოთა ტანკერმა „კალინინმა“ წარმატებით შეასრულა მისია და ტვირთი ბრაზილიაში ჩაიტანა. ტანკერის კაპიტანი ვასილ ფიოდოროვი გახლდათ. ფიოდოროვს ოცი



წელი დასჭირდა, რომ ამ თანამდებობამდე მიეღწია და მეზღვაურულ წრეებში კარგ კაპიტანად ითვლებოდა. ბევრი კი იწვალა, მაგრამ სანუკვარ მიზანს მიაღწია კაცმა და ამ წარმატებით ხარობდა. მაგრამ ბოლომდე ეს ცხოვრება გაახარებს ვინმეს განა? ზღვის ღმერთი შუა ბრაზილიაში გაუწყრა ვასიას - მეზღვაური დაკარგა. უფრო ზუსტად - თავისუფლებამოწყურებულმა ვინმე გვოზდოვმა, რომელსაც, ეტყობა,

ყელში ამოუვიდა მთელი სსრკ თავის მარქს-ლენინიანად, ღურთა თავი და პორტში სასურნოდ გასული, უკან აღარ დაბრუნდა. წარმოვიდგენიათ მაშინ ამას რა რეზონანსი ექნებოდა? ამ ჩვენ ვასიას ვიღამ აცალა მშობლიურ პორტში დაბრუნება. ადგილზე მოხსნეს, პარტიიდან გარიცხეს და 5 წელი გემზე მუშაობა კი არა, ზღვის სანაპიროსთან მიახლოებაც კი აუკრძალეს. დაღუპეს კაცი! ვასიამ, ზღვაოსნობის მეტი არაფერი იცოდა, სადღაც ყარაულად მოეწყო და 5 წელი ტანჯვაში გაატარა. 5 წლის შემდეგ, შეაწრიალა ძველი ნაცნობები და იმდენი მოახერხა, რომ ერთ-ერთ ტანკერზე მოეწყო რიგით მეზღვაურად. ექვს თუ შვიდ თვეში ეს ტანკერი მაშინდელ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ჰამბურგის პორტში შევიდა, სადაც, ტვირთის მიღებამდე, ერთი კვირა უნდა გაჩერებულიყო. აი, აქ მოხდა, რაც მოხდა! ჩვენი ვასია, ერთ მშვენიერ დღეს, ჰამბურგის პორტის ერთ-ერთ ლუდის დარბაზს ეწვია და ჰოი, საოცრებაგ - აგერ არაა მისი დამღუპველი გვოზდოვი?! გადათხლაშულა ბიჭი საგარეულში და ლუდს წრუპავს. ფიოდოროვის საბჭოთა გულში პატრიოტიზმის ვულკანმა იფეთქა. თან, პატრიოტიზმი იქით იყოს და, კაცი, რომელმაც ცხოვრება დაუნგრია, აგერ, მის წინაა და ნებოვრობს. ფიოდოროვის ჩანაფიქრისთვის დრო იდეალური გამოდგა - დამდგა. დაუცადა ვასიამ, როდესაც გვოზდოვი ლუდის წრუპავს მორჩა და გარეთ გავიდა, რომელიღაც ბნელი შესახვევი აირჩია, იქ დახვდა და წიხლქვეშ გაიგდო. ნეკნები ხომ დაუმტვრია, სახე გაუერთიანა ისე, რომ ერთი ამობურცული ადგილი აღარ დაუტოვა და დღესაც არ იცის არავინ, როგორ მოახერხა, გემამდე მიათრია, ბორტზეც აიტანა და ტრიუმში ჩაკეტა.

...ერთ თვეში გემი მშობლიურ პორტში დაბრუნდა. გაიღო ვასიამ ზურგზე ეს შენი გვოზდოვი და მიაგდო პოლიციის კარებთან - ა, ბატონო, მოგიყვანეთ ეს ქვეყნის შემარცხვენიელი, მოღალატე და აწი, თქვენ იცითო... შეიძრა იქაურობა! სამი საათიც არ იყო გასული, ფიოდოროვი კრე-ში დაიბარეს, მოსკოვიდან ორი გენერალი ჩამოფრინდა და თქვენ გელოდებიანო... შავმა ლიმუზინმაც მოაკითხა. საოცარ აღმაფრენას გრძნობს ფიოდოროვი - გემის კაპიტნობაზე ხომ საუბარიც არ არის - აღდგენილია! საბჭოთა კავშირის გამირობა და ოქროს ვარსკვლავიც არ უნდა ჩანდეს შორეული ოცნება. ამ ფიქრებში შეაღო კაბინეტის ტყავადაკრული კარები. ორი გადარისხებული სახის დანახვაზე გულმა მაინცდამაინც კარგი არ უგრძნო, მაგრამ ასეთი? დედა, მამა, საგვარეულო, სანათესაო, წარმომავლობა ხომ უვინეს - ცოცხლებს მკვდრებიც მიუყოლეს.

- იცი, მაინც რა გააკეთო, - ძლივს გაიგო, გინებებს შუა, გენერლების ხმა.
- კი, მოღალატე დავიჭირეო... ძლივს ამოღერდა ვასიამ.
- მოღალატე კი არა, დედაფეთქებულო, ხუთი წელი მოვუნდით მაგის ჩანერგვას და მთელი ოპერაცია ჩაგვიშაღეო...
- КГБ-ს აგენტი არ აღმოჩნდა ეს გვოზდოვი!
- შვიდი წლის შემდეგ, როდესაც ვასია ციხიდან გამოვიდა, ვინმეს მასთან გემი და ზღვა რომ ეხსენებინა, თავს შეაკლავდა.
- ჩაიწერა გოგი გოგოლაძემ



ხაშური 350 მეტრი სიმაღლიდან.

ნიკა კახეთელიძის ფოტო.

D ინფორმაცია ტრენინგის შესახებ სასტუმრო ბიზნესში

გაცნობებთ, რომ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტი „ზრდა“, რომელსაც ახორციელებს „ქემონიქს ინტერნეიშელი“, გვამავს ამერიკის სასტუმროებისა და განათავსების ასოციაციის სასწავლო ინსტიტუტის (AHLEI) სასერთიფიკატო კურსის ჩატარებას სასტუმროს ადმინისტრირების საკითხებზე. მიკრო, მცირე და საშუალო სასტუმროების მფლობელებისა და მენეჯერებისთვის.

ამერიკის სასტუმროებისა და განათავსების ასოციაციის სასწავლო ინსტიტუტი (<https://www.ahla.com/>; <https://www.ahlei.org/>) არის საყოველთაოდ აღიარებული მსოფლიო ლიდერი ტურიზმისა და სასტუმროების ინდუსტრიაში სასერთიფიკატო ტრენინგების ჩატარებაში.

შემოთავაზებული ტრენინგ კურსი მოიცავს სასტუმროს ადმინისტრირების ყველა ძირითად საკითხს, როგორც: სასტუმროს მენეჯმენტის და მასპინძლობის ინდუსტრიის ზოგადი საკითხები, სასტუმროს მიღება-განათავსების სფეროს მუშაობა, დასუფთავების სფეროს მუშაობა, კვების სფეროს მუშაობა და თანამშრომელთა მართვის საკითხები სასტუმრო ბიზნესში.

ტრენინგი მიკრო, მცირე და საშუალო სასტუმროების მფლობელებსა და მენეჯერებს დაეხმარება უფრო წარმატებული გახადონ თავიანთი ბიზნესი საქმიანობა და საუკეთესო მომსახურება შესთავაზონ როგორც ადგილობრივ, ისე საქართველოში სტუმრად ჩამოსულ ტურისტებს.

ტრენინგები ჩატარდება საქართველოს 4 რეგიონში (სამეგრელო - ზემო სვანეთი, სამცხე ჯავახეთი, შიდა ქართლი და ქვემო ქართლი).

USAID/ზრდას დაკვეთით, სერთიფიცირებულ ტრენინგებს განახორციელებს ამერიკის სასტუმროების და განათავსების ასოციაციის სერთიფიცირებული პარტნიორი საქართველოში კომპანია „ქი მენეჯმენტ სოლუშენს“ (KMS Georgia).

კურსი ჩატარდება მიმდინარე წელს 5-დან 15 ნოემბრამდე. დაინტერესებულ პირები, კურსზე დასარეგისტრირებლად, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ დღეიდან 30 ოქტომბრის ჩათვლით. კურსის მონაწილეებს გადაეცემათ ამერიკის სასტუმროებისა და განათავსების ასოციაციის სასწავლო ინსტიტუტის (AHLEI) სერთიფიკატი, რაც მათ სასტუმროებს მეტ სანდობას შესძენს და კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ჩამოსული სტუმრებისთვის.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელ: 995-322-250-567.

D გულნარა ქავთარიას ხსოვნას



ხაშურის ინტელიგენციას და სამედიცინო საზოგადოებას გამოაკლდა დედაწმინდი ექიმი - ნევროლოგი გულნარა ქავთარია.

ქალბატონმა გულნარა ქავთარიამ საექიმო საქმიანობა დაიწყო 1947 წლიდან, 50 წელზე მეტი ხნის მანძილზე წარმატებით ხელმძღვანელობდა რკინიგზის საავადმყოფოს ნევროლოგიურ განყოფილებას. ერთგულად და დაუღალავად ზიდა მკურნალის მძიმე ტვირთი, რადგან დაავადებულ ადამიანებზე ზრუნვა მისი ზნეობრივი მოვალეობა, პროფესიული ბედნიერება და მორალური კმაყოფილება იყო. გამოირჩეოდა განსწავლულობით, მაღალი პროფესიონალიზმითა და კომპეტენტურობით. სიამოვნებით უზიარებდა მდიდარ გამოცდილებას ახალგაზრდა კოლეგებს.

ქალბატონი გულნარა იყო ერთგული მეუღლე, მოსიყვარულე დედა და ბებია. აქვს გამოირჩეული, სახელოვანი ოჯახი. მის მეუღლეს, ცნობილ ექიმს - კარლო მარუაშვილს უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი ხაშურის კვანძის, რკინიგზელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. მათი ოჯახის საექიმო ტრადიციებს წარმატებით აგრძელებენ ექიმები - შვილი ლალი მარუაშვილი, შვილიშვილი ეკა მელიქიძე, სიძე - შალვა მშვილდაძე.

ექიმმა გულნარა ქავთარიამ ხანგრძლივი და სამაგალითო პროფესიული საქმიანობით პირნათლად მოიხადა მოქალაქეობრივი ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

კოლეგები

D იყიდება

ხაშურის რაიონის სოფელ ზემო ოსიაურში იყიდება დიდი, ორსართულიანი სახლი ხეხილიანი ეზოთი (2000 კვ.მ)

სახლი აშენებულია წითელი აგურით და გადახურულია სქელი რკინის თუნუქით. აქვს რკინის კარები და მეტალო-პლასტმასის ფანჯრები. ასევე დამცავი ვისოსები.

ეზოში ფუნქციონირებს ორი სასმელ-სარწყავი წყლის ჭაბურღილი და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურა.

ფასი 37000 ლარი (15000 დოლარი)

ტელეფონი 577764582 599316006

D სპითა-ის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია, თავმჯდომარე ინეზა ელის-აშვილი სამიძარს უცხადებს ქალბატონ ნუნუ ნოზაძეს და ნათია აბიაძეს მეუღლისა და მამამთილის

ლერი ივაშენკოს

გარდაცვალების გამო.

გაზეთის - „ხაშურის მოამბე“- რედაქციის და შპს „ხაშურის სტამბის“ თანამშრომლები თანაუგრძობენ ლალი ჭანკოტაძეს მეუღლის

ამირანის

გარდაცვალების გამო.

D უახლოესი მეგობრები და თანამშრომლები ზეინაბ ხმიადაშვილი, ელზა მენაბდე, რუსუდან ქარუხნიშვილი, ნათელა და მანანა სვანიძეები, გულიკო კიკნაძე, ნანა კაკიაშვილი, მაიკო და ეკა ხვედელიძეები, მარინა ცუცქირიძე, მარიკა გათენაშვილი, მანანა ელისაშვილი, ეთერ ჭიპაშვილი მწუხარებით იუწყებიან ქალბატონ

გულნარა ქავთარიას

გარდაცვალებას და სამიძარს უცხადებენ ოჯახს.

D თამარ ჩაღუნელი ოჯახით, სამიძარს უცხადებს ლალი მარუაშვილს და ეკა მელიქიძეს დედის და ბებულის

გულნარა ქავთარიას

გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაშურის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.

Ⓐ-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.